პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 133 (9909) | კვირა, 6 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. — კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო. — ამხანაგების ს. ვ. დურმიშიძის, ა. ლ. გუნიას, დეპუტატების ო. გ. ბურდულის, დ. თ. ვალიევის სიტყვები (მე-2 გვერდი).

გავაძლიეროთ მეცნიერების დახმარება საკოლმეურნეო სოფლისადმი (მე-3 გვერდი).

დასასვენებელი სახლი შავი ზღვისპირეთში (მე-3 გვერდი).

მ. ხეთაგური. — ერთი რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის ავკარგი (მე-3 გვერდი).

ე. კეშელავა. — დამთავრდა შეოვე რეიხი ანტარქტიკაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუწყვეტლივ ვამაღლოთ მასების აქტივობა

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ პარტია დიდად აფასებს მასების შემოქმედებითს აქტივობას და ინიციატივას, მხარს უჭერს და ავითარებს მისწრაფებას ყოველივე ახლისადმი, პროგრესულისადმი, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს ჩვენს წინსვლას.

პარტია ხელმძღვანელი მუშაკებისაგან მოითხოვს იჩენდნენ ინიციატივას, ჰქონდეთ ახლის გრძნობა, დროულად ამჩნევდნენ ძვირფას თაოსნობას და დაუღალავად ავრცელებდმენ მოწინავე გამოცდილებას.

ჩვენი დღეები ღირსშესანიშნავია მასების უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აქტივობით. პარტიისა და მთავრობის უკანასკნელმა გადწყვეტილებებმა, რომლებშიც მოცემულია საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის პროგრამა, მშრომელი მასების არა მარტო საერთო მოწონება გამოიწვია, არამედ ამასთან ერთად გაუღვივა მათ მხურვალე მისწრაფება — ყოველივე გააკეთონ ამ პროგრამის სწრაფად განხორციელებისათვის. ამ მისწრაფების გამოხატულებაა ის, რომ სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები — კოლმეურნეები და მექანიზატორები — იჩენენ თაოსნობას, ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს, იბრძვიან უხვი მოსავლის მისაღებად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

იქ, სადაც პარტორგანიზაციები ინიციატივას იჩენენ, ხელს უწყობენ მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, დროულად ამჩნევენ ძვირფას თაოსნობას და დაუღალავად იბრძვიან მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის, საქმე განუხრელად მიდის წინ, ახალ წარმატებებს აღწევენ, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას, ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ასეა, მაგალითად, ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 15 სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი ორდენოსანი და მედალოსანი მუშაობს. საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი, უხვი მოსავლის ოსტატი გული ჯინჯარაძე ერთი პირველთაგანია, რომელმაც პრაქტიკულად გიგო მიჩურინელი აგრობიოლოგიური მეცნიერების სიბრძნე და ჩაის პლანტაციის მოვლა-პატრონობის მოწინავე მეთოდი შეიმუშავა. ამ სახელოვანმა ადამიანმა მისთვის მოსავლელად მიჩენილ ერთ ჰექტარ ფართობზე შარშან 14.135 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ ნოვატორთა ყოველი ძვირფასი თაოსნობა ერთსულოვან მხარდაჭერას პოულობს და ფართოდ ინერგება საკოლმეურნეო წარმოებაში. ამის შედეგია, რომ ყველა კოლმეურნე დაუფლებულია შრომის მოწინავე ხერხებს და უხვ მოსავალს იღებს. შარშან კოლმეურნეობამ ჩაის მთელი პლანტაციის ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 5.785 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, წელს კი გაჩაღებულია ბრძოლა ჰექტარზე 6.000 კილოგრამი ფოთლის მისაღებად.

მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების შემოქმედებითს აქტივობას ფართო გასაქანი ეძლევა საბურთალოს აგურის ქარხანაში. ამ საფუძველზე აქ დაინერგა აგურის გამოწვის დუვანოვის ჩქარისხული მეთოდი, განხორციელდა ღუმელში აგურის ჩაწყობისა და გადმოტვირთვის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია.

მაგრამ ასე როდია ყველგან. ზნაურის რაიონში სასოფლო-სამეურნეო საშუშაოთა ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უყურადღებოდ ტოვებენ მოწინავე კოლმეურნეთა თაოსნობას, სათავეში არ უდგანან მასების შრომითს აქტივობას, იჩენენ სოციალისტური შეჯიბრების შეუფასებლობას. ამ რაიონში უგულებელყოფენ თუნვის პროგრესულ კვადრატულ-ბუდობრივ წესს. მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, მოწინავე გამოცდილების განზოგადებას სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც მოწინავე კოლმეურნეობათა გვერდით ბევრი ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა.

ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ცხოვრებას ჩამორჩენილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც ვერ ამჩნევენ ახალს, იცქირებიან უკან და არა წინ, კუდში მისჩანჩალებენ მოვლენათა მსვლელობას, შიშით, ავადმყოფური იქვიანობით ისმენენ ნოვატორთა ახალ წინადადებებს და აფერხებენ მოწინავე გამოცდილების გავრცელებას. თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის დირექტორი ი. კერესელიძე და პარტბიუროს ყოფილი მდივანი ი. კიკნაძე დახმარების ნაცვლად წლების განმავლობაში ხელს უშლიდნენ კომბინატის ყოფილ მთავარ ინჟინერს გ. ზვედელიანს თავისი გამოგონებისა და გაუმჯობესებათა განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ინჟინერმა ზვედელიანმა შექმნა მეტად საყურადღებო უნივერსალური გამკრიალებელი აგრეგატი და შეიმუშავა ავეჯის აწყობის ჩქაროსნული ტექნოლოგია, რომელიც საგრძნობლად აადვილებს შრომას, ზრდის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს ხარისხს. სწორედ ამ გამოგონებათა გამო იგი გახდა კომბინატის ხელმძღვანელების დევნის ობიექტი. სამწუხაროდ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ წაუყრუა კომბინატის ხელმძღვანელთა ამ არასწორ მოქმედებას.

ნოვატორებისადმი, მუშების, კოლმეურნეების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივისადმი, მოწინავე გამოცდილებისადმი უსულგულო, ბიუროკრატული დამოკიდებულება ძირშივე უნდა აღიკვეთოს, როგორც მავნე, ჩვენი წინსვლის შემაფერხებელი მოქმედება. პარტია ხელმძღვანელი მუშაკებისაგან, ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს გამოიჩინონ ინიციატივა, მხურვალედ დაუჭირონ მხარი მასების ძვირფას თაოსნობას, გაბედულად დაიყენონ და გადაწყვიტონ ახალი საკითხები, ენერგიულად და დაჟინებით ებრძოლონ ჩამორჩენილობას, მიაღწიონ საერთო აღმავლობას. ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ, რომ მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელების საწინდარია.

კომუნისტური პარტია თავის კადრებს, ყველა თავის ორგანიზაციას მუდამ მიუთითებს, რომ აუცილებელია ყურადღებით შეისწავლონ და მხარი დაუჭირონ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას, მტკიცედ დანერგონ დადებითი გამოცდილება.

იჩენდეს ინიციატივას მუშაობაში, მხარს უჭერდეს და ფართოდ ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, დაუცხრომლად ავითარებდეს მასების შემოქმედებითს აქტივობას და თაოსნობას — ეს არის ჩვენი კადრების, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობა.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ 28-Ე ᲢᲝᲛᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. (საკდესი). გამომცემლობა „წიგნმა და ცოდნამ“ პოლონურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 28-ე ტომი.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲢᲝᲛᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ გამოუშვა გიორგი დიმიტროვის თხზულებათა მე-10 ტომი. ამ ტომში შევიდა გიორგი დიმიტროვის ნაშრომები 1935 წლის თებერვლიდან 1938 წლის ნოემბრამდე.

მეათე ტომი გამოდის 80.000 ცალი ტირაჟით.

საბჭოთა საქართველოს დღე

თბილისი. კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის სტახანოველი ამწყობი ოთარ გოგიჩაშვილი, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა ოთხ თვეში შეასრულა.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

თბილისი. კონიაკის ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ გამოუშვა მაღალხარისხოვანი ქართული სამარკო კონიაკი „ვარციხე“. სურათზე: ტექნოლოგები ვ. ჭანიშვილი (მარცხნივ) და ლ. ახვლედიანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ახალი სამარკო კონიაკის ტექნოლოგიის დადგენაში.

ფოტო შ. გოჩაძისა.

★

მეაბრეშუმეთა ახალი წარმატება

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). სოფელ მთიხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილმა მეაბრეშუმემ ნინო ბარაბაძემ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაღდა, აბრეშუმის ჭიას საუკეთესოდ მოუარა და პარკი მიიღო გამოკვების დაწყების ოცდამეორე დღეს. 19,5 გრამ თესლზე სახელმწიფოს ჩააბარა 132 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი და გეგმა 276 პროცენტით შეასრულა.

• • •

სᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. (საკ. კორ.). კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პაპა შუბლაძემ ჭიის გამოკვება 23 დღეში დაამთავრა. 5 გრამ თესლზე მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 28 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი.

ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ᲚᲐᲩᲮᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). სოციალისტური შრომის გმირი შურა ჩხაიძე სოფელ აცანის კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ დღეებში იგი წარმატებებს აღწევს, მეხუთე ბრიგადასაც კარგად ხელმძღვანელობს. მაისში ბრიგადამ გეგმის გადამეტებით მოკრიფა 1,5 ტონა ჩაის ფოთოლი.

პირადად შ. ჩხაიძემ უკვე მოკრიფა 1.200 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. დაწინაურდნენ აგრეთვე ნადია და თამარ ჩხაიძეები. თვითეული მათგანი დღეში კრეფს 50-60 კილოგრამ ხარისხოვან ფოთოლს.

სოფელ ღესის კოლმეურნეობაში მომუშავე სოციალისტური შრომის გმირი გოგუცა ბარამიძე, რომელიც მახარაძელ ცნობილ მეჩაიესთან — დარეჯან ტაკიძესთან არის შეჯიბრებაში ჩაბმული, დღეში კრეფს 60-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს; გადაჭარბებით ასრულებენ კრეფის დღიურ დავალებებს ლუბა კუნუნელა, უხუცესი მკრეფავი მარიამ სარჯველაძე და სხვები.

ᲗᲘᲕᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ

წელს თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბალახის კარგი მოსავალია. ცალკეული ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე თივის მოსავალი 35-40 ცენტნერს აღწევს.

კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადამ, რომელსაც შ. ძიძიკაშვილი ხელმძღვანელობს, დაიწყო ესპარცეტის თიბვა. კოლმეურნეობას კარგად ეხმარება მარტყოფის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. მამუკაშვილი). ამ ბრიგადის ტრაქტორისტი ს. აბრამიშვილი, სათიბი მანქანის მეშინჯანე გ. ცოფურაშვილი თიბვის ყოველდღიურ დავალებას 130-150 პროცენტით ანადგენენ.

მალე მარტყოფის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდება თივის მოსავლის აღება. დღეში იმუშავებს 15 სათიბი მანქანა. ამას წინათ მტს-მა დამატებით კიდევ მიიღო ახალი მარკის სათიბი მანქანა, რომლის უპირატესობა ის არის, რომ მას არ სჭირდება მემანქანე. ტრაქტორისტს შეუძლია ერთსა და იმავე დროს ტრაქტორიც წაიყვანოს და სათიბი მანქანაც ამუშაოს. გარდა ამისა, ამ მანქანას უქმი სვლები ნაკლები აქვს და უფრო დიდია შრომის ნაყოფიერება. ამ ახალ მანქანაზე იმუშავებს გამოცდილი ტრაქტორისტი გ. ძაგანაშვილი.

• • •

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ორგანიზებულად მოიწყო ბოლნისის მტს-მა ბალახის თიბვა საზამთრო საძოვარზე საათლოში (აზერბაიჯანი). მტს-მა დროულად გაგზავნა 3 ტრაქტორი, ორი სათიბი, ერთი თივის შემგროვებელი. ოთხი დღის განმავლობაში გათიბეს 260 ჰექტარი და დაზვინეს 320 ტონამდე თივა.

თიბვაზე კარგად იმუშავეს ტრაქტორისტებმა გ. ლონდარაშვილმა და ჯ. გაბიძაშვილმა, რომლებიც დღეში 30-35 ჰექტარ ბალახს თიბავდნენ. ახლა მტს-ის მთიბავთა ჯგუფი მექანიკოს ა. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებს ეხმარება თიბვაში.

ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲒᲐ

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ. (საკ. კორ.). წალენჯიხაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აგურის ახალი ქარხნის მშენებლობა. ქარხანა მიმდინარე წელს გამოუშვებს ორასი ათასამდე ცალ ხარისხოვან აგურს, ხოლო მომავალ წელს აგურის გამოშვება კიდევ უფრო გაიზრდება.

აგურის ქარხანა მოემსახურება როგორც რაიონის საწარმო-დაწესებულებებს, ისე კოლმეურნეობებს.

საქართველოს შემნახველ სალაროებში

რესპუბლიკის მშრომელებს მომსახურებას უწევს 655 შემნახველი სალარო. უახლოეს ხანში დამატებით გაიხსნება რამდენიმე ახალი სალარო. საქართველოს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოსთან არსებობს მოგებათა შემოწმების ბიუროო, რომელიც სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ათასობით მფლობელს უწევს მომსახურებას. 1953-1954 წლებში ბიუროომ 2000-მდე მშრომელს აცნობა, რომ მათს ობლიგაციებს მოგება ხვდა.

1953 წელს და მიმდინარე წლის ხუთ თვეში საქართველოს შემნახველმა სალაროებმა სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე მოგებათა სახით გასცეს 300 მილიონ მანეთზე მეტი, აქედან დიდ მოგებებზე 11 მილიონამდე მანეთი. გაიყიდა სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 88 მილიონამდე მანეთის ობლიგაციები.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში მეანაბრეთა რიცხვი გაიზარდა 22 ათასით, მშრომელთა დანაზოგების რაოდენობა — 115 მილიონი მანეთით. მარტო პროცენტების სახით შარშან მეანაბრეებმა 16 მილიონამდე მანეთი მიიღეს.

გავაუმჯობესოთ წიგნით ვაჭრობა

ᲬᲘᲒᲜᲘ, გაზეთი, ჟურნალი საბჭოთა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა. საბჭოთა წიგნი ძლიერია თავისი იდეურობით, იგი მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრების სინამდვილესთან, ასახავს მშრომელთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. უწიგნოდ არ შეიძლება წარმატებით გაეუძღვეთ მეურნეობას, ფართოდ დანერგოთ მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება. წიგნი ეხმარება ადამიანებს სწორად გაიგონ და წარმატებით გადაჭრან ის ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსახავენ.

მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში მუდამ დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს წიგნის გამოცემისა და გავრცელების სანამუშოდ მოწყობა. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რომ სისტემატურად გაუმჯობესდეს წიგნით ვაჭრობა საერთოდ და განსაკუთრებით სოფლად.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო თემაზე დაწერილი ლიტერატურის გამოცემა. წელს პირველ კვარტალში წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებმა სამჯერ მეტი რაოდენობით მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ გამოცემული ლიტერატურა ფართოდ გავრცელდეს მოსახლეობაში, მაგრამ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები ამ დიდ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებენ. მარტო ის ფაქტი, რომ ცეკავშირმა 1953 წელს სოფლად წიგნით ვაჭრობის გეგმა მხოლოდ 68,8 პროცენტით შეასრულა, იმაზე მეტყველებს, თუ რა არასერიოზულად ეკიდება წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების ზოგიერთი მუშაკი ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს.

სავაჭრო ორგანიზაციების უყაირათო მუშაობის შედეგად ზოგჯერ ახალი წიგნები სოფლის მოსახლეობამდე ვერ აღწევს. მაგალითად, ცეკავშირის მაღაზიებს ამბეტის, სიღნაღის, ზესტაფონის, თელავის, მარნეულის, წითელწყაროს, ბოლნისის, ონის, ამბროლაურის რაიონებში 1953 წელს ახალი ლიტერატურა არ გაუვრცელებიათ.

სუსტია წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების კავშირი ბიბლიოთეკებთან და სამკითხველოებთან. ამიტომ ცოტა როდია წიგნის ჩაწოლის შემთხვევები, მაშინ როცა მკითხველები, კულტურული და სამეურნეო დაწესებულებანი, ბიბლიოთეკები და წითელი კუთხეები ამა თუ იმ წიგნის ნაკლებობას განიცდიან.

1 ივლისს საქართველოში იწყება წიგნის ერთთვიური. ერთთვიურის მიზანია წიგნის პროპაგანდის გაძლიერება, მასებში რაც შეიძლება მეტი წიგნის გავრცელება, მკითხველთა ფართო მასებისათვის ძვირფასი სულიერი საზრდოს — საბჭოთა წიგნის მიწოდება.

წიგნის ერთთვიურის წარმატებით მოწყობისათვის საჭიროა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, ბაღებში და მოედნებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, ყველგან, სადაც მოსახვრეველია, მოეწყოს წიგნით ვაჭრობა. მაღაზიები, კიოსკები, წიგნის ბაზარი დროულად უნდა მომარაგდეს საჭირო ლიტერატურით, წიგნის სავაჭრო წერტილები სათანადოდ გაფორმდეს ლოზუნგებითა და პლაკატებით.

წიგნის ერთთვიური პოლიტიკური მნიშვნელობის დონისძიებაა. იგი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია და ემსახურება მშრომელთა კულტურული დონის შემდგომ ზრდას, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა შეგნებისა და კულტურის ამაღლების საქმეს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის მთავარ სამმართველოს, საქწიგნის, ცეკავშირის, „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური კანტორის მუშაკთა ვალია ივნისის პირველ დეკადაშივე შეიტანონ საჭირო წიგნები რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში, წიგნების განაწილების დროს გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნილება.

წიგნის გავრცელება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო საქმეა. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ წიგნის ერთთვიურის მოწყობას, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გასწიონ წიგნის პროპაგანდა მასებში; საწარმოებსა და კოლმეურნეობებში მოაწყონ მოხსენებები, საუბრები, ამ საქმისათვის ფართოდ გამოიყენონ პროპაგანდისტები და აგიტატორები, ქალაქისა და სოფლის აქტივისტები.

წიგნის პროპაგანდას ფართოდ უნდა ეწიოდნენ საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები. მათი ამოცანაა აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებს წიგნის ერთთვიურის წარმატებით მოწყობაში.

წიგნი ცოდნის წყაროა. საჭიროა ფართოდ გავშალოთ წიგნის პროპაგანდა, მტკიცედ დანერგოთ წიგნის ვაჭრობის მოწინავეთა გამოცდილება, ორგანიზებულად მოვაწყოთ წიგნის ერთთვიური, დროზე მივცეთ მკითხველს იდეურად ძლიერი და მხატვრულად სრულყოფილი საბჭოთა წიგნი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ნ. ᲞᲔᲒᲝᲕᲘ.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 4 ივნისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ამხ. კ. ტ. სვერდლოვას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. კ. ტ. სვერდლოვას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის გამო და რევოლუციურ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად, ამხ. კლავდია ტიმოთეს ასული სვერდლოვა დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ნ. ᲞᲔᲒᲝᲕᲘ.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 3 ივნისი.

თბილისის ახალ სამრეწველო უბანში

ავჭალა თბილისის ახალი, სწრაფად მზარდი სამრეწველო უბანია.

ნათელ, ვრცელ კორპუსებშია მოთავსებული ჩაის გადამწონი ფაბრიკა, რომლის სამქროები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით. ფაბრიკა ყოველწლიურად ზრდის ჩაის პროდუქციის გამოშვებას. შარშანდელზე 500 ტონით მეტი ჩაი უნდა გამოუშვას წელს. ამ დავალების უზრუნველსაყოფად ფაბრიკის კოლექტივმა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე დასახა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი მოწყობილობის რაციონალურად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდების მისაღწევად. ფაბრიკამ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 16 ტონა ჩაის პროდუქცია გამოუშვა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,9 პროცენტით გაადიდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 0,8 პროცენტით შეამცირა. მეორე კვარტალის დასაწყისიდანვე ჩაის მწონავებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და აპრილში გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 23 ტონა ჩაი.

გასულ წელთან შედარებით უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი მთლიანად იფუთება ფოლგაში (ლითონის ფურცლებში), რაც კარგად იცავს მას დაზიანებისაგან და უნარჩუნებს თავის არომატსა და თვისებებს. ფაბრიკის კოლექტივმა გაითვალისწინა მშრომელთა მოთხოვნილებანი და წელს პირველად დაიწყო 25-გრამიანი შეკვრების გამოშვება. მიმდინარე წელს ასეთი წონის შეკვრებს გამოუშვებს 1.400 ტონის რაოდენობით. საწარმომ დაიწყო ჩაის გამოშვება თუნუქის კოლოფებში. სულ გამოუშვებს 30 ათას კოლოფს. ფაბრიკა აგრეთვე გამოუშვებს 2.500 ტონა მწვანე ბაიხაო ჩაის შუა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობისათვის.

ფაბრიკაში მიიღეს ახალი მანქანა, რომლის მონტაჟიც ამჟამად მიმდინარეობს და ივნისის დამლევამდე დამთავრდება. ეს მანქანა დასპრის საკოლოფე მუყაოს ან ზედვე დაბეჭდავს საჭირო საეტიკეტო ცნობებს. მანქანა საათში გამოუშვებს 48 ათას კოლოფს. აქვე დადგმულია მეორე ახალი მანქანა, რომელიც ჩაის ავტომატურად ჩაფუთავს გამზადებულ კოლოფებში. მიმდინარე წლის ბოლომდე კიდევ დაიდგმება ჩაის შემფუთავი ოთხი ახალი მანქანა. ფაბრიკაში წარმოების ყველა პროცესი ავტომატიზებული და მექანიზებულია.

სულ უფრო მეტ პროდუქციას იძლევა ჩვენი ქვეყნის ყველაზე ძლიერი — ავჭალის შამპანური ღვინოების ქარხანა. იგი ყოველდღიურად 18 ათას ბოთლამდე „საბჭოთა შამპანურს“ ამზადებს. წელს ქარხანა შარშანდელზე 500 ათასი ბოთლით მეტ შამპანურს გამოუშვებს. საწარმოში ყველა პროცესი მექანიზებულია.

დიდ ტერიტორიაზეა გადაჭიმული სამტრესტის კონიაკის ქარხნის მშენებლობა. საწარმოს მთავარი კორპუსის მშენებლობა დამთავრებულია, მიმდინარეობს მონტაჟის სამუშაოები, რაც ივნისის ბოლოსათვის დამთავრდება და ქარხანა მთლიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მიმდინარე წლის ბოლომდე საწარმომ უნდა ჩამოასხას 135 ათასი დეკალტრი სხვადასხვა სახის ქართული კონიაკი, მათ შორის სამარკო კონიაკები „ენისელი“ და „ვარციხე“.

მიმდინარეობს ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია 1955 წლისათვის. მეორე რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად მოგვცემს 300 ათას დეკალტრ მაღალხარისხოვან ქართულ სამარკო კონიაკს.

25 მაისს ქარხანამ გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია, ახალი ქართული კონიაკი „ვარციხე“. იგი შექმნეს სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ციციშვილმა, ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ვ. ჭანიშვილმა, ინჟინერ-ტექნოლოგებმა დ. ნიკოლაიშვილმა, ო. ლორთქიფანიძემ და ლ. ახვლედიანმა. კონიაკმა სპეციალისტების მაღალი შეფასება მიიღო. საწარმომ დაიწყო ამ კონიაკის მასობრივად გამოშვება.

ქარხანას აქვს როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის კონიაკების მდიდარი კოლექცია. ზოგიერთი ქართული მარკის კონიაკი გამოშვებულია 1904 წელს.

კონიაკის ქარხნის გვერდით მიმდინარეობს საქართველოში უდიდესი ღვინის ქარხნის მშენებლობა.

ხარაჩოები შემოხსნეს შამპანური ღვინოების ქარხნისა და ჩაის გადამწონი ფაბრიკის მუშაკთ: საცხოვრებელ ოთხსართულიან სახლებს. სამტრესტის კონიაკის ქარხანამ საექსპლოატაციოდ გადასცა 7 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ქარხნებისა და ფაბრიკების ტერიტორიაზე გაშენებულია მარადმწვანე და ძვირფასი ჯიშის ხეები, მოწყობილია გაზონები, დარგულია მრავალნაირი ყვავილები.

ხალისიანად, ახლებურად, მიმზიდველად გამოიყურება ავჭალა — საქართველოს დედაქალაქის ახალი სამრეწველო უბანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

ამხ. ს. ვ. დურმიშიძის სიტყვა

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი)

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით სწორად ასახავს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას. ბიუჯეტში დიდი სახსრებია გამოყოფილი 1954 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას შემდგომი აღმავლობისათვის. სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 359.644.000 მანეთი. ამასთან საკავშირო ბიუჯეტით რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 147.003.000 მანეთი, ანუ 79.116.000 მანეთით მეტი 1953 წელთან შედარებით.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ საქართველოში შექმნილია მატერიალური საფუძვლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ ხანებში ერთგვარ წარმატებებს მიაღწია. თანდათანობით მტკიცდებიან საქართველოს კოლმეურნეობები, იზრდება მათი საზოგადოებრივი მეურნეობა. რესპუბლიკის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 1953 წელს 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით. 1952 წელს რესპუბლიკაში 431 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, 1953 წელს კი მათი რიცხვი 507-მდე გაიზარდა. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობების ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება და განუყოფელი ფონდები. 1953 წელს 1952 წელთან შედარებით კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა შრომადღის ანაზღაურება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წარმატებით ათვისეს ისეთი პროგრესული აგროტექნიკური მეთოდები, როგორიც არის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, ბოსტნეული კულტურების ჩითილის ტორფნეშომპლის ქოთნებში გამოყვანა, თავთავიანი კულტურების ჯვარედინი თესვა.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობას მთელი რიგი ნაკლოვანებანი ახასიათებს. რესპუბლიკის უმრავლეს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხორციელდება აგროტექნიკათა გათვალისწინებული ვადების დარღვევით. ნაკლები ყურადღება ექცევა ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლას. ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას მრავალწლიანი ნარგავების სამუშაოთა მექანიზაცია. მთელ რიგ რაიონებში შესრულებული არ არის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის გეგმები.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ზოგიერთი საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, როგორიც არის სიმინდის თოხნა, ვენახების, ხეხილის ბაღების, ციტრუსების ნარგავებისა და მზესუმზირას ნათესების დამუშავება და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება. სრულებით არ გაუშენებიათ ბაღები ზესტაფონის, ონის და სხვა რაიონებს. ბაღების გაშენების გეგმა ვერ შეასრულეს თერჯოლის, ხობის, ბორჯომის, ასპინძის, წითელწყაროს, თელავის, ლაგოდეხის რაიონებმა.

1954 წელს არც ერთი ჰექტარი ვენახი არ არის გაშენებული კასპის, წულუკიძის, ტყიბულის, ცაგერის რაიონებში.

ყველა ეს მონაცემი მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მტს-ების და ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად შესრულებისათვის.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ გასულ წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების შეუსრულებლობის გამო ვერ აითვისა 12.170.000 მანეთი. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს წელსაც.

1954 წელს კაპიტალურ დაბანდებებზე გეგმით გათვალისწინებულია 45.150.000 მანეთი, ოთხი თვის გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 40 პროცენტით. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს მშენებლობის ხე-ტყის მასალით მომარაგების საქმეში. მარტო 1954 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა დაემზადებინა და შემოეზიდა 11.400 კუბური მეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად შემოტანილია გეგმის მხოლოდ 25 პროცენტი.

მტს-ებში მშენებლობის გეგმების შესრულება დამოკიდებულია აგრეთვე მუშახელით უზრუნველყოფაზე. ამ საკითხს ზოგიერთი მტს-ი და რაისაბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. მშენებლობის დარგში განსაკუთრებით ჩამორჩებიან თეთრი წყაროს, მაიაკოვსკის, ტყვიავის, თელამის, ქსუისის, ზნაურის, აბაშის მტს-ები.

ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულია ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების შემდგომი განვითარების ამოცანა. მაგრამ მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები მოითხოვენ მრავალწლიანი ნარგავების გაშენების გეგმების შემცირებას. მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონი 120 ჰექტარი ვენახის ნაცვლად მოითხოვს 80 ჰექტარის გაშენებას, კასპის რაიონი 150 ჰექტარი ხეხილის ბაღის ნაცვლად მოითხოვს მხოლოდ 100 ჰექტარს, ცაგერის რაიონი 100 ჰექტარის ნაცვლად — 30 ჰექტარს, თბილისის გარეუბნის რაიონი 180 ჰექტარი ხეხილის ბაღის ნაცვლად 30 ჰექტარის გაშენებას. ცხადია, ასეთ განწყობილებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

სოფლის მეურნეობის გეგმიან განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი კომპლექსური აგროტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიება, როგორიც თესლბრუნვაა. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1954 წლიდან უნდა დაიწყოს სწორი თესლბრუნვის შემოღება და ეს სამუშაოები დამთავრდეს 1955 წლის ბოლოსათვის. თესლბრუნვის მთლიანი ათვისება კი მოხდება 1956 წელს. მომდინარე წელს თესლბრუნვის სამუშაოები უნდა მოეწყოს 604 კოლმეურნეობაში. ეს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მარცვლეულის მომყვან კოლმეურნეობებს და მთელი რესპუბლიკის მეთესლეობის კოლმეურნეობებს შეეხება.

ამხანაგებო! თქვენთვის ცნობილია, თუ რა მძიმე მდგომარეობა გვაქვს მეცხოველეობის დარგში. მწარე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის გამოზამთრებისათვის სანიმუშოდ მომზადებას. მიუხედავად ამისა, წელსაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის. მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა რესპუბლიკაში 20 მაისისათვის შესრულებული იყო 61 პროცენტით, საკვები ძირხვენებისა—82 პროცენტით, ხოლო სასილოსე კულტურებისა — 92 პროცენტით. ძირხვენების თესვის გეგმა ზორჯომის რაიონს შესრულებული აქვს 6 პროცენტით, ახალქალაქისას — 4 პროცენტით, ამბროლაურისას — 14 პროცენტით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებს — 22 პროცენტით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას კი — 54 პროცენტით.

აზერბაიჯანის საძოვრებზე 25 მაისისათვის სულ გათიბული იყო 5.000 ჰექტარი, მაშინ როდესაც გასათიბი ფართობი 20.000 ჰექტარს აღწევს. რაიონებმა საძოვრებზე საჭირო რაოდენობით არ გაგზავნეს მუშახელი. სულ მუშაობდა 30 ტრაქტორი და 505 კოლმეურნე.

აზერბაიჯანის საძოვრებზე თივის თიბვის გეგმა შესრულებული არა აქვთ სიღნაღის, თელავის, ყვარლისა და წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებს. ამოცანა ის არის, რომ ყველა რაიონში უახლოეს დროში დამთავრდეს საკვები კულტურების თესვა და ორგანიზებულად, მოკლე ვადაში მოეწყოს თივის აღება, დავაგროვოთ საკვების მაქსიმალური მარაგი.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება. ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა არ შესრულებულა 1952-1953 წლებში. ეს გარემოება გვაფრთხილებს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიური დავალების შესრულებას, გადაჭრით გავაძლიეროთ კრეფის ტემპი, მტკიცედ დავიცვათ ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მოკლე დროში დაიწყება თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მოსავლის უდანაკარგოდ აღება სოფლის მშრომელთა ღვიძლი საქმეა.

გასული წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა მოეწყოს ქალაქ თბილისში რესპუბლიკური მუდმივმოქმედი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ამასთან დაკავშირებით ვთხოვ მინისტრთა საბჭოს გათვალისწინოს მომდინარე წელს რესპუბლიკური სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მშენებლობის დასაპროექტებელი თანხა, რომ მშენებლობა დაიწყოს 1955 წელს.

სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრესას. საქართველოს რესპუბლიკური გაზეთები თავიანთ ფურცლებზე საკმაო ადგილს უთმობენ სოფლის მეურნეობის საკითხებს, მაგრამ მთელი რიგი სპეციალური საკითხები მაინც გაუშუქებელი რჩება. მართალია, არსებობს ჟურნალი „საქართველოს კოლმეურნე“, მაგრამ იგი თვეში ერთხელ გამოდის და მისი საშუალებით მომდინარე სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ოპერატიულად გაშუქება ძნელია. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაც არასაკმარისი რაოდენობით გამოდის.

ამ საქმეში ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ არა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობა, თუმცა რესპუბლიკაში სპეციალური გამომცემლობები არსებობს. საჭიროა რესპუბლიკაში გამოიცეს სასოფლო-სამეურნეო გაზეთი და შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობა პოლიგრაფიული ბაზით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეტანონ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა წარმატებით განხორციელებაში.

დეკუტატ დ. თ. ვალიევის სიტყვა

(ჯავის რაიონის კვაისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, მკაფიოდ მოწმობს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის გამარჯვებას, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშრომელთა ბედნიერება, მათი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

ხალხთა დიადი ძმობა და მეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა. ოსი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ყოველდღიურად გრძნობს ამ მეგობრობის კეთილმყოფელ ნაყოფს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მსხვილი სამრეწველო საწარმოებია. ოლქში წარმატებით ვითარდება სამთო-მომპოვებელი და დამამუშავებელი მრეწველობა. განუწყვეტლივ იზრდება იმ პროდუქციის მოცულობა, რომელსაც ოლქის სამრეწველო საწარმოები უშვებენ. საკმარისია ითქვას, რომ მომდინარე წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 23 პროცენტით გადადდება 1953 წელთან შედარებით.

უახლოეს ხანში სამხრეთ ოსეთში დასახულია მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა.

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნე გლეხობა წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ განახორციელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა. ოლქში მუშაობს ოთხი მტს-ი, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. უკანასკნელ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი სარწყავი არხი, რომლებიც რწყავს ოლქისა და მისი მეზობელი რაიონების მრავალ ათას ჰექტარ სახნავ მიწებს.

იზრდება საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა, ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, დიდდება მისი პროდუქტიულობა.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. სამხრეთ ოსეთში მუშაობს 18 საავადმყოფო, 29 პოლიკლინიკა და ამბულატორია, 4 ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი, ერთი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტი და სხვა სამკურნალო დაწესებულებები.

ჩვენ გვაქვს 360 სკოლა, 4 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, მუსიკალური სასწავლებელი. კადრების მომზადების სამჭედლოს წარმოადგენს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც დიდ სამამულო ომამდე ცოტა ხნით ადრე შეიქმნა.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის სისწორის მკაფიო დამადასტურებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი, რომელიც 1954 წლისათვის განსაზღვრულია 65.507.000 მანეთით, რაც 1940 წელთან შედარებით შეადგენს ზრდას 50,5 პროცენტით.

დიდად გაიზარდა ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიღწევები მნიშვნელოვანია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1954 წლის ბიუჯეტი ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას. ბიუჯეტის პროექტი შეესაბამება მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. მაგრამ მასში საკმაოდ არ არის გათვალისწინებული ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების დაფინანსება.

ქალაქ სტალინირში მდინარე ლიახვზე ერთადერთი ხიდია, რომელიც ძალიან დაძველდა და ქალაქის საჭიროებებს ვეღარ აკმაყოფილებს. მთელი რიგი წლების განმავლობაში ოლქის ორგანიზაციებს არაერთხელ დაუყენებიათ ქალაქ სტალინირში ახალი ხიდის მშენებლობის საკითხი. მაგრამ მომდინარე წლის ბიუჯეტის პროექტში ამისათვის საჭირო ასიგნობანი გათვალისწინებული არ არის. ვთხოვ სესიას და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაჭრან ქალაქ სტალინირში ხიდის მშენებლობის საკითხი და გამოყონ საამისოდ სათანადო სახსრები. არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა სტალინირში კანალიზაციის მშენებლობა. ვთხოვ სესიას მომდინარე წელს 600 ათასი მანეთი გამოჰყოს კანალიზაციის მშენებლობისათვის.

სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი კურორტები დიდი პოპულარობით სარგებლობენ მშრომელებში. მაგრამ ეს კურორტები თავმინებებულ მდგომარეობაშია კეთილმოწყობისა და შენობათა რემონტისათვის საჭირო სახსრების უქონლობის გამო. რამდენადაც ბიუჯეტის პროექტში კურორტების კეთილმოწყობისათვის არაფერი არ არის გათვალისწინებული, ვთხოვ სესიას გამოჰყოს ამ საქმისათვის 200 ათასი მანეთი.

სამხრეთ ოსეთში არ არის კეთილმოწყობილი სასპორტო დარბაზი, რაც ხელს უშლის სასპორტო-ფიზკულტურული მუშაობის გაჩაღებას. მცირე სასპორტო დარბაზს, რომელიც სტალინირის ერთ-ერთ სკოლასთან არსებობს, რეკონსტრუქცია ესაჭიროება, რისთვისაც ვთხოვ სესიას გამოჰყოს 200 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამინისტრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს ოლქის საჭიროებებს და განსაკუთრებით ქალაქ სტალინირის კეთილმოწყობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უკანასკნელ ხანს მცირე დახმარება როდი გაუწია ოლქს სამხრეთ ოსეთის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგრამ მას არ შეუსრულებია თავისი არაერთი დაპირება. ამის შესახებ, რომ ჯავის რაიონის სოფელ ხვწეში ააშენებდა სკოლას, რომლის შენობა ორი წლის წინათ წყალდიდობის დროს დაინგრა.

იმავე რაიონის სოფელ წონაში მუშაობს რვაწლიანი სკოლა. მისი შენობა სრულიად უვარგისია ამ მიზნისათვის. უკვე დიდი ხანია მომწიფდა აქ საშუალო სკოლის გახსნის საჭიროება. ჯერ კიდევ 1951 წელს კოლმეურნეებმა თავიანთი ინიციატივით დაიწყეს საშუალო სკოლის შენობის აგება. სამუშაოები შესრულებული იყო 30-40 პროცენტით. განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ ადგილზე დათვალიერა სკოლის მშენებლობა, მოიწონა კოლმეურნეთა ინიციატივა და აღუთქვა დახმარება მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო სახსრების მიცემაში. მაგრამ დაპირება დღემდე შეუსრულებელია. განათლების სამინისტრომ უნდა გაიხსენოს თავისი დაპირებანი.

ვთხოვ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აგრეთვე გაითვალისწინოს ქალაქ სტალინირში 1955 წელს საშუალო სკოლის მშენებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ და ყოველმხრივ განვითარებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

მე სავსებით ვუჭერ მხარს აქ გამოსული დეპუტატების წინადადებებს საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ამხ. ა. ლ. გუნიას სიტყვა

(საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი)

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა მოითხოვს სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგის ახალ, განუხრელ აღმავლობას, საბჭოთა კულტურის შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება. მაგრამ არსებული პირობები სათანადო ეფექტიანობით არ არის გამოყენებული. აქ, ამ სესიაზე საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. ბ. ჩხეიძემ სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო კინომომსახურების გეგმების შეუსრულებლობისათვის.

მართლაც, კინოქსელმა 1953 წელი შეუწყნარებელი გარღვევით დაამთავრა, საერთო შემოსავლის გეგმა შეასრულა 86 პროცენტით და სახელმწიფოს დააკლო 9 მილიონ მანეთზე მეტი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო სოფლად. საერთო შემოსავლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 67 პროცენტით.

რესპუბლიკის კინოქსელის ჩამორჩენა გამოწვეულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოს უხეირო მუშაობით. სათანადოდ არ იყო მოვლილი კინოაპარატურა, მოწყობილობა, ავტოტრანსპორტი. ეს კი იწვევდა კინოდანადგარების დიდ გაცდენას. რესპუბლიკის 73 რაიონიდან 1953 წელს შემოსავლის გეგმა შეასრულეს მხოლოდ აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, გარდაბნის, ლაგოდეხის, მარნეულისა და მახარაძის რაიონებმა.

საქართველოს სახელმწიფო კინოქსელმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა საქმიანობა. მაყურებელთა დასწრებისა და კინოთეატრებიდან საერთო შემოსავლის გეგმა ამ პერიოდში 101 პროცენტით არის შესრულებული. მკაცრი ზამთრის მიუხედავად, წარმატებით მუშაობდა კინოქსელი მარნეულის, მაიაკოვსკის, ლაგოდეხისა და ბოგდანოვკის რაიონებში. ქალაქებიდან გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს გორის კინოთეატრმა — 126 პროცენტით, ჭიათურისამ — 117, თბილისის კინოთეატრებმა — 110 პროცენტით. პირველი კვარტალის გეგმები ვერ შეასრულეს ჭიათურის, ვანის, ონის, ტყიბულის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში. ამ საქმეში სერიოზული ბრალი მიუძღვით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი მდგომარეობის უმოკლეს დროში გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გაფართოვდეს სახელმწიფო საკლუბო დაწესებულებათა ქსელი 100-150-ადგილიანი დარბაზებით, მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს სტაციონარული კინოდანადგარების ქსელი.

მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ საქართველოს სსრ კულტურის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებისა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების ერთობლივი ღონისძიებებით.

მოსახლეობის კულტურის ამაღლების ერთ-ერთი პირობაა პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის ფართოდ გავრცელება. წიგნების რეალიზაციის 1953 წლის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, გაყიდულია 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების წიგნები, ვიდრე 1952 წელს. 1954 წლის პირველი კვარტალის გეგმა განაღდებულია 104 პროცენტით.

გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების მუშაობაში მოიპოვება არსებითი ნაკლოვანებები. არ სრულდება წიგნების სამბეჭდო გაყიდვის გეგმა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლად წიგნით ვაჭრობას. გამომცემლობებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს წიგნების დროულად გამოცემასა და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის ჩაბარებას. არის არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევები, რაც ხელს უშლის გაყიდვის გეგმების შესრულებას. რაიონებში სავაჭრო ქსელის ტექნიკური მდგომარეობა არ შეეფერება წიგნით ვაჭრობის კულტურას. ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა სერიოზული ზომების მიღება.

მოსახლეობის კულტურული მომსახურების ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კულტურისა და დასვენების პარკები, სასოფლო კლუბები და სამკითხველოები. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამგეობლობაშია 93 კულტურის სახლი, 40 მუზეუმი, 625 ბიბლიოთეკა, 1.007 კლუბი, 28 კულტურისა და დასვენების პარკი, 473 სასოფლო სამკითხველო.

ამ დაწესებულებათა მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე, მაგრამ შემდგომი წარმატებების მოპოვების უზრუნველსაყოფად საჭიროა სერიოზულად განმტკიცდეს მათი მატერიალური ბაზა. ამ მიმართულებით კი გვესაჭიროება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარება.

პარტია და მთავრობა მუდმივ მზრუნველობას იჩენენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მათთვის მუშაობის საჭირო პირობების შესაქმნელად. საბჭოთა მთავრობის დადგენილებით კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით გამოჰყონ სახსრები სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების მშენებლობისა და მოწყობისათვის. კოლმეურნეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მუშაობისათვის შერჩეულ უნდა იქნან მომზადებული, საქმის მცოდნე ამხანაგები. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის კულტურის სოლოქმი და ყველა რაიონის კულტურის განყოფილებები მოვალენი არიან აქტიური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ასეთი კადრების შერჩევაში.

ნება მომეცით დაგაწერწმუნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია ყოველ ღონეს იხმარს მის წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომ კულტურის მუშაკები მუდამ პირველ რიგებში იქნებიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

დეკუტატ ო. გ. ბურდულის სიტყვა

(დუშეთის რაიონის ჟინვალის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარების შედეგად დუშეთის რაიონის მშრომელებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

მნიშვნელოვნად შეიცვალა რაიონის ცენტრი — ქალაქი დუშეთი. მას ამშვენებს კეთილმოწყობილი, განიერი და გამწვანებული ქუჩები, გაჩირაღდნებული ელექტროლამპიონები, კარგი პარკი, მოასფალტებული მოედანი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ქალაქის მოსახლეობამ მიიღო მაღალხარისხოვანი სასმელი წყალი, დამთავრდა სპორტდარბაზის მშენებლობა. დღითიდღე უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მუშაობა დაიწყო 100-საწოლიანმა საავადმყოფომ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შემოღება. ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა სკოლის ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები უკეთესად იყვნენ მოწყობილი, ნაყოფიერად მუშაობდნენ. მაგრამ რაიონის მეტ წილ სკოლებს საკლასო ოთახების სიმცირის გამო საშუალება არა აქვთ გამოჰყონ ოთახები კაბინეტებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ფასანაურის საშუალო სკოლასა და არაგვისპირის რვაწლიან სკოლაში. დასახლებული სკოლები მოთავსებულია 2-3 ადგილას ერთ-ოროთახიან დაქირავებულ ბინებში. ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ გათვალისწინოს ფასანაურის საშუალო სკოლასა და არაგვისპირის რვაწლიანი სკოლის ასაშენებლად სათანადო თანხის გამოყოფა.

ქალაქ დუშეთში მუშაობს რუსული რვაწლიანი სკოლა. ამ სკოლის ზოგიერთი კლასი მოთავსებულია დუშეთის საშუალო სკოლაში, ნაწილი კი პედაგოგიური სასწავლებლის შენობაში. მეცადინეობა მიმდინარეობს ორ ცვლად. სკოლადამთავრებულებს არ შეუძლიათ განაგრძონ სწავლა რაიონში, რადგან რუსული საშუალო სკოლა არა გვაქვს. ამიტომ ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს დუშეთში რუსული საშუალო სკოლის მშენებლობისათვის გათვალისწინოს სათანადო თანხა.

ჩვენი რაიონის განსაკუთრებული პირობების გამო ბევრ მოსწავლეს სკოლაში სიარული უჭდება 7-8 კილომეტრზე. სუსხიანი ზამთრის პირობებში ხშირად ბავშვები ვერ ესწრებიან მეცადინეობას, აცდენენ გაკვეთილებს, რაც იწვევს ჩამორჩენას და შემდეგ განთესვას. ამ მდგომარეობიდან ასაცილებლად საჭიროა იმ სკოლებთან, სადაც მოსწავლეები შორი მანძილიდან დადიან, შეიქმნას ინტერნატები.

დუშეთის რაიონი მეცხოველეობის რაიონია. კოლმეურნეობების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დგას მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. სამწუხაროდ, რაიონს არა ჰყავს სპეციალისტთა საკმაო კადრები. საჭიროა დუშეთში გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა კადრების მოსამზადებლად.

თბილისის მშრომელები ხშირად ჩამოდიან ჩვენთან ბაზალეთის ტბაზე. ეს კარგი დასასვენებელი ადგილია. გარდა ამისა ტბა შეიძლება გამოყენებულ იქნას 3-5 ათას ჰექტარამდე მიწის მოსარწყავად, რაც კოლმეურნეობებს საშუალებას მისცემს ფართოდ განავითარონ მებოსტნეობა და ნაწილობრივ დააკმაყოფილონ თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილება ამ მხრივ. ამიტომ ვაყენებ საკითხს მოგვეცეს სათანადო თანხა ბაზალეთის ტბის დასვენების კერად გადაქცევისა და სარწყავად გამოყენებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ასახავს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ინტერესებს. ამიტომ მე მხარს ვუჭერ აქ გამოსული დეპუტატების წინადადებას, რომ დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

გავაძლიერეთ მეცნიერების დახმარება საკოლმეურნეო სოფლისადმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის დღის წესრიგში მდგომმა საკითხებმა, რომლებიც მეცნიერებისა და საკოლმეურნეო წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებას ეხებოდა, აქ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ორი დღის განმავლობაში სესიის მუშაობას დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების თანამშრომლები, მთელი რიგი ინსტიტუტების მუშაკები, თბილისის გარეუბნის რაიონის სოფლის მეურნეობის ნოვატორები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა პ. გუგუშვილმა.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროსის, კოლეგიის წევრის ამხ. მ. ბუჯიაშვილის მოხსენება, რომლის თემა იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება და მეცნიერების ამოცანები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

მომხსენებლის აზრით, ეკონომიკის ინსტიტუტმა საქართველოს რამდენიმე კოლმეურნეობის მაგალითზე უნდა შეისწავლოს საკოლმეურნეო წარმოების კომპლექსურად დაგეგმვის საკითხი გამოცდილების განზოგადების მიზნით. შესწავლილ უნდა იქნას ცალკეულ კოლმეურნეობათა წამყვანი დარგების ნაკლოვანობის - გაზრდის საკითხიც ნათესთა თუ ნარგავთა ფართობის გადიდებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე. საჭიროა ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა სისტემატური კვლევისა და შესწავლის საგანი გახდეს აგრეთვე თავთავიან და სათოხნ კულტურათა თესვისა და რგვის პროგრესული წესების ფართოდ დანერგვის ეკონომიური ეფექტიანობა, კოლმეურნეობებთან მტს-ების საწარმოო ურთიერთობის გაუმჯობესების, მტს-ებში შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების, ტექნიკის გამოყენების მაღალი ეფექტიანობისა და სხვა საკითხები.

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელა მტს-ის დირექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. პ. ქემოკლიძე თავის მოხსენებაში „მტს-ის როლი შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში“, შეეხო იმ მრავალმხრივ მოღვაწეობას, რასაც ეს მტს-ი ეწევა საკოლმეურნეო წარმოების შედგომი განვითარებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოებაში მტს-ის გაზრდილი როლი ხელს უწყობს მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელ ზრდას. მტს-ის მომსახურების 9 კოლმეურნეობიდან 7 კოლმეურნეობას მილიონზე მეტი მანეთი შემოსავალი აქვს თვითეულს, ხოლო ერთი კოლმეურნეობის შემოსავალმა 5 მილიონ მანეთს გადაამეტა. შარშან მტს-მა თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე ნაცვლად 447 ჰექტარისა გამოიმუშავა 475,4 ჰექტარი და გადამეტებით შეასრულა კოლმეურნეობებთან სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული ყველა ძირითადი სამუშაო.

ამასთან ერთად ამხ. პ. ქემოკლიძე შეეხო იმ გამოუყენებელ რეზერვებსაც, რომლებიც მოეპოვება მტს-ს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისა და გაფართოების საქმეში.

მომხსენებელმა მთელი სერიოზულობით დასვა საკითხი სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტებისა და კონსტრუქტორთა წინაშე, რათა მათ დააჩქარონ ისეთი იარაღ-მანქანებისა და დანადგართა შექმნა, რომელთა საშუალებით მიღწეულ იქნება მეთამბაქოობის ყველაზე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ა. ნუცუბიძემ, თავის მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს საქართველოს დედაქალაქის საგარეუბნო მეურნეობა, რადგან თბილისი ამ მხრივ სსრ კავშირის ბევრ ქალაქს ჩამორჩება.

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა, სოციალისტური შრომის გმირმა დ. კუხიანიძემ — „რუხის კოლმეურნეობა მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში“, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. კახეთელიძემ — „საქართველოს სსრ მეცხოველეობის (მეცხვარეობის) ეკონომიკის საკითხისათვის“, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. გ. ნატროშვილმა — „კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ გამოცდილება“, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გველესიანმა — „ჩაის კულტურის სამუშაოთა მექანიზაციის ეკონომიკა“.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა, მათ შორის პროფესორებმა ა. ნატროშვილმა, ნ. იაშვილმა, დოცენტებმა ა. კაკაბაძემ, გ. გველესიანმა, დ. ქორიძემ, ბ. ხასიამ, აგრეთვე ა. ქანთარიამ (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნარჩომაშვილმა (საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო) და სხვებმა.

სესიის მიერ მიღებული ღონისძიების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებთან, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ეკონომიკის ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტების შექმნას ფართო სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გასაშლელად. განზრახულია აგრეთვე მომავალი წლის თებერვლისათვის მოეწყოს ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო სესია, რომელიც შეაჯამებს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის გაწეულ მუშაობას.

ახალქალაქის რაიონში

ახალი ჰიდროელექტროსადგურები

რამდენიმე თვეა საექსპლოატაციოდ გადაეცა საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური — ახლარჰესი, რომელმაც დენი მისცა სოფლებს — დილისკას, ხულგუმოს, გულიკამსა და კარტიკამს. ახლო მომავალში ჰიდროელექტროსადგურის ბაზაზე განხორციელდება კიდევ 9 სოფლის ელექტროფიკაცია.

წელს დამთავრდება აგრეთვე ორი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის — ხანდოჰესისა და ბეჟანოჰესის მშენებლობა.

წყალსადენის გაყვანა

მშენებლობის პროცესშია წყალსადენი, რომელიც 32 კილომეტრი მანძილიდან გამოჰყავთ. ახალი წყალსადენი სასმელი წყლით უზრუნველყოფს ჩუნჩხის, დილისკას, პტენის, კორხის, მაჭატიას და სხვა სოფლების მოსახლეობას.

მშენებლობა, რაზეც ორ მილიონზე მეტი მანეთი დაიხარჯება, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლოს დამთავრდება.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა

სახეს იცვლის და მშვენიერდება რაიონის ცენტრი — ქალაქი ახალქალაქი. მიმდინარე წელს მოასფალტდება მისი ექვსი ქუჩა. ქუჩების ნაპირებზე დაიდგება 7 ათასი ხე, ბუჩქი და ყვავილი. შენდება დიდი ადმინისტრაციული სახლი.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

რაიონში დასახულია პირუტყვის სადგომების მშენებლობის ფართო პროგრამა, რომლის საფუძველზე წელს აშენდება 42 ობიექტი. კულტურულ ბინებში შესაძლებელი გახდება მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

(„კომუნისტის“ სპეც. კორ.).

ყოველდღიური კედლის გაზეთი

სამტრედია. (საკ. კორ.). დიდი პოპულარობით სარგებლობს სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს კედლის გაზეთი „ჩვენი დეპო“. გაზეთი სისტემატურად აშუქებს დეპოს კოლექტივის შრომითს წარმატებებს, გაბედული, კრიტიკული გამოსვლებით მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დეპოს ხელმძღვანელობას/ნაკლოვანებათა გამოვლინებაში.

დეპოელთა კედლის გაზეთს სახელი მოუხვეჭია მისი სარედაქციო კოლეგიის ნაყოფიერმა მუშაობამ. გაზეთს ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობს ა. თევზაძე.

უკვე კარგა ხანია კედლის გაზეთი „ჩვენი დეპო“ ყოველდღიურად გამოდის. გაზეთის რეგულარულად გამოშვებისათვის შექმნილია 6 მორიგე სარედაქციო კოლეგია, თვითეული 5 წევრის შემადგენლობით.

რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო

თელავი. (საკ. კორ.). კომკავშირის თელავის რაიკომმა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტთან ერთად თეატრის შენობაში მოაწყო რაფიელ ერისთავის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს თელავისა და მეზობელი რაიონების 500-მდე კაცი დაესწრო. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობიდან ესწრებოდა რაფიელის თანამედროვე მხცოვანი კოლმეურნე სანდრო ფარემუზოვი.

ინსტიტუტის დირექტორის დოცენტ ი. ნანობაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ რ. ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა კ. გამსახურდიამ და გ. ქიქოძემ. მოგონებით გამოვიდა რ. ერისთავის თანამედროვე ივ. პაატაშვილი. დამსახურებულმა მასწავლებელმა ნინო ყაზახაშვილმა დამსწრეთ გააცნო ქისტაურელ მოხუც კოლმეურნეთა ნაამბობი რ. ერისთავის შესახებ.



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი ციხისძირში.

დასასვენებელი სახლი შავი ზღვის პირას

შავი ზღვის პირას, კლდოვან გორაკზე აღმართული ლამაზი სამსართულიანი შენობა. მის წინ, რკინიგზის ახლოს, ნაირ-ნაირი ყვავილებითა და დეკორაციული მცენარეებით შემკულ პატარა სკვერში დგას დიდი სტალინის მონუმენტი. ეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციხისძირის დასასვენებელი სახლია.

აჭარა მდიდარია კურორტებით, სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით, მაგრამ ეს დასასვენებელი სახლი და მისი მდგომი გამორჩევა სილამაზითა და კეთილმოწყობით.

დასასვენებელ სახლში ყოველგვარი პირობებია შექმნილი ჯანსაღი და კულტურული დასვენებისათვის. დამსვენებელთა განკარგულებაშია ფართო და ნათელი ოთახები, კეთილმოწყობილი კლუბი, საცეკვაო მოედანი, სასაღილო, ბიბლიოთეკა, საბილიარდო, ფრენბურთის მოედანი, შხაპები, საუკეთესო ბუნებრივი პლაჟი, ზღვაზე სასეირნო ნავები, მარადწვანე მცენარეებითა და ყვავილებით შემკული ეზო.

მაგრამ დამსვენებლები ყველაზე უფრო კმაყოფილი არიან დასასვენებელი სახლის მუშაკთა გულთბილი და მზრუნველი მოპყრობით, მათი სანიმუშო მომსახურებით.

— ყველაფერი, რაც აქ ვნახე და განვიცადე, — განაცხადა სვერდლოვსკის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის ცვლის ოსტატმა გ. კარპუხინმა, — სპარბობს იმას, რაც მე მინახავს და მიგრძვნია ჩემი ცხოვრების მანძილზე. წარმტაცი ბუნება, კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლი, მომსახურე პერსონალის უაღრესი გულთბილობა და გულისხმიერება უდიდესი კმაყოფილების გრძნობით აღავსებს დამსვენებლის გულს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ლიდია ნოვიკოვამ თქვა: მეოთხეჯერ ვეწვევი მზიურ აჭარას. იგი მხიბლავს ულამაზესი ბუნებით, შესანიშნავი პლაჟით. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ამჯერადაც საგზური ამ დასასვენებელ სახლში მივიღე. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის აქ გატარებული დღეები...

პირველ მაისს გაიხსნა აქ სეზონი. ამჯერად 85 დამსვენებელი ჩამოვიდა. მათ შორის ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. სტეპანოვი და ინჟინერ-ქიმიკოსი გ. ოლეფირი — მოსკოვიდან, ტექნიკოს-პირომეტრისტი მ. პირიახინა — ლენინგრადიდან, ცვლის ოსტატი გ. კარპუხინი — ურალიდან და სხვები.

დასასვენებელი სახლი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა სეზონს. საცხოვრებელ კორპუსებს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა, სასადილო და კლუბი რეკონსტრუირებულია, აიგო ახალი შენობა საბილიარდოსა და სამკითხველოსათვის. ციხისძირის რკინიგზის ბაქნიდან დასასვენებელ სახლამდე ზღვისპირა ბილიკს გაუკეთდა ლამაზი მოაჯირი, მოეწყო ახალი საცეკვაო მოედანი, დაიდგა მძლავრი რადიოკვანძი, რითაც დამთავრდა დასასვენებელი სახლის მთლიანი რადიოფიკაცია. შეძენილია ავეჯი, კულტინვენტარი და სხვ.

წელს აქ 1.000-მდე კაცი დაისვენებს, მათ შორის მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, ხარკოვის, ოდესისა და ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და პროფესორ-ლექტორები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებას. კვირაში ორჯერ უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, სისტემატურად იმართება მხატვრული საღამოები, საჭადრაკო და საშაშო ტურნირები, შეჯიბრება ფრენბურთში, ეწყობა ექსკურსიები. აქ დღეებში დამსვენებელთა დიდმა ჯგუფმა დათვალიერა ბათუმში რევოლუციისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, გეაცნო დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს. ექსკურსია მოეწყო აგრეთვე ზღვით სოხუმამდე.

დასასვენებელი-სახლის კოლექტივი არ კმაყოფილდება მიღწეულით, იგი კიდევ უფრო ენერგიულად იბრძვის დამსვენებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალ სანატორიუმში მიიღეს დამსვენებელთა პირველი ჯგუფი

წყალტუბო. (საკ. კორ.). ამ დღეებში რკინიგზელთა ახალ 250-ადგილიან სანატორიუმში მიიღეს დამსვენებელთა პირველი ნაკადი.

სანატორიუმის პირველ დამსვენებელთა შორის არიან ჩრდილოეთის რკინიგზის ორთქლმავლის ყოფილი მემანქანე, პენსიონერი ი. გორიუნოვი, მოსკოვის ცენტრალური ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროს უფროსი ი. კოსინოვი, მოსკოვ-კურსკის რკინიგზის სახალხო მატარებლის მემანქანე ვ. პრიტეევი და სხვ.

რკინიგზელთა სანატორიუმს, რომელიც ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი შენობაა წყალტუბოში, აქვს ყველა სახის სამკურნალო კაბინეტები, ლაბორატორიები, კლუბი, კინოდანადგარი. სანატორიუმი რადიოფიცირებულია.

ბიბლიოთეკა

მწერალი და მკითხველი

საბჭოთა მკითხველებს [illegible] ალექსანდრ ფეიშვილის [illegible] კოლმეურნეობა „ჩოლოს ტაბაგანი“ [illegible] ნი უკვე გამოსულია ქართულ, რუსულ, ბელორუსულ, ლატვიურ, ესტონურ, სომხურ, ჩუვაშურ, ჩეხურ, სლოვაკურ, რუმინულ, ბულგარულ, უნგრულ, პოლონურ და გერმანულ ენებზე. ახლო ხანში იგი გამოვა უკრაინულად. „ლელო“ შემოკლებული სახით დაიბეჭდა უზბეკურ ენაზე.

„ლელოს“ პოპულარობას მოწმობს ჩვენი თვალწინდელი საშობლოს სხვადასხვა კუთხიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ავტორის მიერ მიღებული მრავალი წერილი, რომლებითაც მკითხველები მადლობას გამოთქვამენ სინტერესო და შესანიშნავი რომანის შექმნის გამო. კრასნოიარსკის მხარის ქ. კანსკის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ნატალია სოკოლოვა იწერება: „ვსწავლობ მე-8 კლასში. როცა „ლელოს“ კითხულობდი, ნამდვილად მეგონა, რომ წიგნის გმირებს შორის ვიმყოფებოდი, ყველაფერს მათთან ერთად განვიცდიდი. მინდა ალე დავამთავრო სკოლა და წავიდე კოლმეურნეობაში, საშობლოს საკეთილდღეოდ ვიშრომი ისე, როგორც ამ წიგნის გმირები მუშაობენ“.

მკითხველთა წერილებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ლელო“ მოგვითხრობს არა მარტო აყვავებული საქართველოს ერთი კუთხის, არამედ მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის შესანიშნავი ადამიანების გმირულ ცხოვრებაზე. „თქვენი რომანის გმირთათვის დამახასიათებელი კომუნისტური შეგნებულობა და საბჭოთა ადამიანის მორალი, — წერს ავტორს ქ. უფიდან სტუდენტი ვ. პოლუშკინი, — ის საუკეთესო თვისებებია, რომლებიც აქვს უკრაინელ პურის ნოსალის ოსტატს, ურალელ მეტყევეს თუ ცომბირელ მონადირეს“.

ამასვე მეტყველებენ მკითხველთა წერილები ალტაის მხარიდან, ქვემო ამურის ოლქიდან, კრასნოდარის მხარიდან, სომხეთის სსრ ქ. დილიჯანიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებიდან.

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის სლოვაკური ორგანოს ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა რეცენზია ა. ჭეიშვილის რომან „ლელოზე“. რეცენზიის ავტორი ვ. პეტრიკი წერს: „ჭეიშვილის რომანი „ლელო“ თავისუფალი საქართველოს სოციალისტური შრომისა და ცხოვრების ალეგორია“.

ალექსანდრე ჭეიშვილი ამჟამად მუშაობს ახალ რომანზე „დიდი ტალღა“, რომლის პირველი წიგნი დაბეჭდილია „ქართული პროზის ალმანახში“. რომანის თემაა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა, მათი თავდადებული შრომა კომუნიზმის აშენებისათვის.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა შემდეგი ბროშურები:

ს. პეტროვი — „პ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“. თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 12.000, გვ. 43, ფასი 1 მან.

ა. მაკაროვი — „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“. თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 63, ფასი 2 მან.

ა. პუშკინი — „ზღაპრები“, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 69, ფასი 3 მან. 70 კაპ.

წიგნში შეტანილია „ზღაპარი სალთან მეფისა“, „ზღაპარი მღვდლისა და მისი მოჯამაგირის ბალდასი“, „მებადურისა და თევზის ზღაპარი“, „ზღაპარი მეფის მკვდარი ასულისა და შვიდი დეკემბრისა“, „ოქროს მამლის ზღაპარი“. თარგმანები ეკუთვნის მ. პატარიძეს, გ. აბაშიძეს, ვ. გორგაძეს, ხ. ვარდოშვილს და ი. აბაშიძეს.

სიმონ ჩიქოვანი — „ახალი დღიურები“, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1953 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 164, ფასი 3 მან.

ერთი რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის ავკარგი

კასპის რაიონის თეძამის მტს-ის ზონაში

თეძამის ხეობაში ისევ დილის ნისლი წევს, როცა საკოლმეურნეო მინდვრებში კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომა იწყება. ხეობიდან მონაქროლ საოს შორს მიაქვს კოლმეურნეთა ხალისიანი სიმღერის ხმა.

ბევრი რამ ახალი იგრძნობა თეძამის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში. ეს საიხლეა: კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა, ნეშომპალა-მიწის ქოთნების დამზადება, საკვალსათბურო მეურნეობების მოწყობა-გაფართოება, ნათესების ორმხრივი კულტივაცია.

— შარშან რომ გეკითხათ, — ამბობენ თეძამის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, — ზონაში ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა რომელი არისო, ყველანი ერთხმად სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას დაგისახელებდნენ. როგორც მტს-ისაგან, ისე პარტიის რაიკომისაგან იგი მართლაც თავმინებებული იყო.

ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა! პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობა ახლებურად მოეწყო. აი პირველი შედეგებიც: წელს აქ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურები გეგმით გათვალისწინებული 470 ჰექტარის ნაცვლად აგროტექნიკურ ვადებში 489 ჰექტარზე დაითესა. ამასთან შესრულდა სიმინდისა და კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის გეგმა. საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთწლიანი ბალახებისა და საკვები ძირხვენების სათესი ფართობი. წელს პირველად მოეწყო საკვალსათბურო მეურნეობა. 7.000-ის ნაცვლად დამზადდა 13.000 ცალი ნეშომპალა-მიწის ქოთანი. ახლა კოლმეურნეობაში გაჩაღებულია ნათესების მოვლა-დამუშავება.

მაგრამ თეძამის მტს-ისა და მისი ზონის კოლმეურნეობების მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. მაგალითად, სოფელ ნოსტეს საკაძის სახელობის და ახალქალაქის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაიშალა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა. ამ საქმეში უპასუხისმგებლობა გამოიჩინა მტს-ის მთავარმა ინჟინერმა მ. ლობჟანიძემ. იგი დახმარების გასაწევად მივლინებული იყო სოფელ ნოსტეს კოლმეურნეობაში, მაგრამ საჭირო ზომები არ მიიღო კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის განსახორციელებლად. მტს-ს შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის დავალება.

არის სხვა ნაკლოვანებებიც. მანქანა-ტრაქტორთა სადგური მოუმზადებელი შეხვდა ნათესების კულტივაციის დაწყებას. მეოთხე სატრაქტორო ბრიგადაში, რომელიც სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება, კულტივატორის შეკეთება მაშინ გაახსენდათ, როცა უკვე ნათესების კულტივაციას უნდა შესდგომოდნენ. ნელა წარმოებს კომბაინებისა და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის საჭირო სხვა მანქანების რემონტი. პირველ კვარტალში მტს-ს არ შეუსრულებია კომბაინების რემონტის დავალება.

თავმინებებული კომკავშირული ორგანიზაცია

თეძამის მტს-ის მომსახურების ზონაში თოთხმეტი კოლმეურნეობაა. აქედან ხუთ კოლმეურნეობაში — ზენადრისში, ჩაჩუბეთში, გოგოთში, სამოჭალოსა და გარგალში — პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არის. ეს გარემოება მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ კოლმეურნეობათა კომკავშირულ ორგანიზაციებს. მაგრამ კომკავშირელები არ გრძნობენ ამ პასუხისმგებლობას. ზოგან კომკავშირის კომიტეტის მდივანი დაინტერესებული არ არის კოლმეურნეობის საქმიანობით, ხოლო კოლმეურნეობის გამგეობა — კომკავშირელთა აქტივობით შრომაში.

სოფელ ზენადრისის კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩება. ასეთი ჩამორჩენა გამოიწვია იმან, რომ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელი იყო შრომა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სრულდებოდა აგროტექნიკის უხეში დარღვევით, ყურადღება არ ექცეოდა საზოგადოებრივ მეცხოველეობას. მდგომარეობა ამ მხრივ არც წელს არის სახარბიელო, ზენადრისელი კომკავშირელები კი ურიგდებიან კოლმეურნეობის ჩამორჩენას.

ახალგაზრდობა კოლმეურნეობის წევრთა 25-30 პროცენტს შეადგენს. მათგან კომკავშირის წევრი მხოლოდ 11 კაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინიც ნაკლებ თვითმოქმედებას და ინიციატივას იჩენენ. კომკავშირულ კრებაზე აქამდე არ განუხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება.

... ამ რამდენიმე დღის წინათ პარტიის რაიკომის მდივანი თეძამის მტს-ის ზონაში ამხ. ი. მუხიგულაშვილი ზენადრისის კოლმეურნეობაში იყო. მან მოიკითხა კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მიხეილ დუდაშვილი.

— კოლმეურნეობის გამგეობამ, — უპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მალაციძემ, — ცუდი მუშაობისათვის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. დუდაშვილი თებერვლის ბოლოს ფერმის გამგეობიდან მოხსნა. ამით განაწყენებულმა მ. დუდაშვილმა კოლმეურნეობა მიატოვა. მას შემდეგ კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად არავინ აუჩევიათ. სწორედ გითხრათ, არც კომკავშირული კრებები ამართება.

... რაიკომის მდივანი ღრმად ჩაფიქრდა.

— ხუთუ ეს აქ ხდება?! — თქვა და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

იციან თუ არა ყოველივე ეს კომკავშირის კასპის რაიკომში? იციან, მაგრამ ეს მათ არ აღელვებთ. სამწუხაროდ, ამ ფაქტისათვის არც რაიკომის ინსტრუქტორს მტს-ის ზონის მიხედვით ამხ. შ. გოგინაშვილს მიუქცევია ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ მტს-ის ზონის კოლმეურნეობების კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის 22 წევრიდან საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმული არ არის 12 კომკავშირელი. არც კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია და არც კომკავშირის კასპის რაიკომი სათანადო მუშაობას არ ეწევიან ახალგაზრდობასთან, არ იბრძვიან საკოლმეურნეო შრომისადმი არისტოკრატული დამოკიდებულების წინააღმდეგ.

არ გაისმის აგიტატორის ხმა

ახლა, ნათესების მოვლა-დამუშავებისა და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადების დღეებში, განსაკუთრებით ფართოდ უნდა გაჩაღდეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად. მაგრამ ეს არ იგრძნობა თეძამის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში.

შაქრის ჭარხლის კარგი პლანტაცია აქვს სოფელ ნოსტეს საკაძის სახელობის კოლმეურნეობას. მეჭარხლე კოლმეურნეები არაფერს იშურებენ უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ადრე დილით შაქრის ჭარხლის პლანტაციაში ვნახეთ კოლმეურნეობის მეოთხე და მეხუთე ბრიგადების წევრები. გავეცანით მათს შრომას, გამოვესაუბრეთ მათ.

— სიმართლე უნდა გითხრათ, — განაცხადეს კოლმეურნეებმა თამარ აუსრაძემ და ილია გაბოძემ, — აგიტატორებმა დაგვივიწყეს. ჩვენ კი სწორედ ახლა გვესაჭიროება ისინი. გვაინტერესებს ახალი ამბები. გვინდა ვიცოდეთ, რა ახალი მიღწევებია საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, დემოკრატიულ ქვეყნებში, მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში.

ეს საყვედური სამართლიანია კოლმეურნეობის აგიტატორების, პირველ რიგში საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. ვ. სოზიაშვილის მიმართ, რომელიც საგიტაციო-მასობრივი მუშაობის შეუფასებლობას იჩენს.

მტს-ის მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტს კომკავშირელ გრიგოლ მანძულაშვილს, რომელიც ყოველდღიურად მინდვრად მუშაობს, ერთხელაც არ მოუსმენია აგიტატორის სიტყვა, ის აგიტატორს არც კი იცნობს. მსგავსი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობასა და სატრაქტორო ბრიგადაშიც. ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ მტს-ისა და კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, მათთან ერთად რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფიც, ჯეროვნად არ აფასებენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მნიშვნელობას.

ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და კოლმეურნეობათა ეკონომიურად განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს კოლმეურნეთა საერთო კულტურული დონისა და აგროტექნიკური ცოდნის ამაღლება, ყველა კოლმეურნის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმა.

როგორ არის ამ მხრივ საქმე? მტს-ის ზონის 14 კოლმეურნეობიდან აგროზოოტექნიკური კურსები მოწყობილი იყო მხოლოდ 6 კოლმეურნეობაში და აქაც სწავლა დაბალ დონეზე მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მთის ზონის 7 კოლმეურნეობაში ეს კურსები ჯერ ერთხელაც არ მოწყობილა.

მინდვრის გაცხოველებულ სამუშაოთა პერიოდში არ იგრძნობა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მასების საწარმოო აქტივობისადმი, სოციალისტური შეჯიბრებისადმი. სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ი. გორგაძე) სოციალისტური შეჯიბრების დაწყებით დაკმაყოფილდა. კოლმეურნეობაში ისე დამთავრდა საგაზაფხულო ხვნა-თესვა, რომ პირველადს პარტიულ. ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს საკითხი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ. იგი არ არის შეჯიბრების მიმდინარეობის კურსში, არ იცის ვინ რას აკეთებს აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

— ჯერ ხომ სამეურნეო წელი არ დამთავრებულა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები როგორ უნდა შეგვემოწმებინაო, — უდარდელად ამბობს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. გორგაძე.

კიდევ უფრო ცუდად არის საქმე სოფელ ახალქალაქის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჯერაც არ დაუმთავრებიათ ბრიგადებსა, რგოლებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, რის გამო კოლმეურნეთა დიდი ნაწილი შეჯიბრების გარეშეა დარ

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგში იყო ტაილანდის წარმომადგენლის ამა წლის 29 მაისის წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე. ეს წერილი შეიცავს წინადადებას, რომ ყურადღება მიექცეს მდგომარეობას, რომელიც თითქოს „საფრთხეს უქმნის ტაილანდის უშიშროებას და რომლის განგრძობას შეუძლია საშიშროება შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებას“. თუმცა წერილში მოხსენებული არ არის ინდოჩინეთი, მაგრამ, ცხადია, რომ საქმე ინდოჩინეთის მდგომარეობას შეეხება.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი, რომელიც ტაილანდის დელეგაციამ წამოაყენა. ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს, განაცხადა ცარაპკინმა, ახლა განიხილავს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთისა და ინგლისის, ე. ი. უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი. ამ გარემოების გამო, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს ტაილანდის მიერ წამოყენებული საკითხი. საბჭოს მიერ ამ საკითხის განხილვა არათუ ხელს არ შეუწყობს ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მის წარმატებით გადაწყვეტას საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე, რასაც, როგორც ცნობილია, ცდილობენ გარკვეული აგრესიული წრეები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები, იმ მიზნით, რომ მოამზადონ ნიადაგი ინდოჩინეთის ომში უცხოეთის ჩარევის გასაფართოებლად.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მს „ესმის საშიშროება“, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ გამოთქვა, მაგრამ ხმას მისცემს-მას, რომ უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას ტაილანდის წინადადებანი.

საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა წინადადებას, რომ დღის წესრიგში შეტანილი იქნას ტაილანდის დელეგაციის მიერ წამოყენებული საკითხი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხმა მისცა ამ წინადადების წინააღმდეგ.

ტაილანდის დელეგატის სიტყვაში უხვად იყო ციტირებული ამერიკელი გამოჩენილი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც ნასესხებია ამერიკის რეაქციული პრესიდან. მან მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ, რომელიც მეთვალყურეობას უწევს მშვიდობის შენარჩუნებას, „დაუყოვნებლივ გაგზავნოს თავის მეთვალყურეთა ჯგუფი“, რომელიც მოხსენებას წარუდგენს უშიშროების საბჭოს.

ამის შემდეგ ლიბანის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა დაიხიროს უშიშროების საბჭოს სხდომა და საბჭოს შემდეგი სხდომა მოწვეულ იქნას ჟენევის თათბირის მსვლელობისა და საბჭოს წევრების სურვილების გათვალისწინებით. მან განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ ახლა არ უნდა განიხილოს ტაილანდის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხი.

ლიბანის წინადადება მიღებულ იქნა, და საბჭოს სხდომა ამით დაიხურა.

ჩარლი ჩაპლინს გადაეცა მშვიდობის საერთაშორისო პრემია

ჟენევა, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მინიჭების ჟიურის მდივანმა ხორხე სალამამ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრების — ფრანგი მწერლის ვერკორის, შვეიცარიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარის პროფესორ ანდრე ბონარის, აგრეთვე ინგლისელი პროფესორის სინგის თანხლებით ინახულა ცნობილი ინგლისელი კინომსახიობი ჩარლი ჩაპლინი, რომელიც ცხოვრობს ვევში, ლოზანის ახლოს, და გადასცა მას მშვიდობის საერთაშორისო პრემის 1953 წლის ლაურეატის დიპლომი, რაც ჩარლი ჩაპლინს მიენიჭა ხალხთა მეგობრობის საქმეში თვალსაჩინო შემოქმედებითი წვლილისათვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). 3 ივნისს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის საღამოს სხდომაზე, რომელიც მარსელ კაშენის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, დაიწყო კამათი ჟაკ დიუკლოს მოხსენების გამო.

4 ივნისის დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს წევრი ეტიენ ფაჟონი, გრძელდებოდა ჟაკ დიუკლოს მოხსენების განხილვა. კამათში გამოსული დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავენ მთელი ფრანგი ხალხის განუზრელ მოსწრაფებას — შეცვალოს მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა, აღადგინოს საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს საფრანგეთის მშვიდობა და უშიშროება. საფრანგეთის მუშათა კლასს, აღნიშნავენ ორატორები, საკუთარი შეგნებული აქვს, რომ საჭიროა უარყონ ყბადაღებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომლის მოწონებას საფრანგეთისაგან დაეკისრებინ მოითხოვენ გერმანელი რევანშისტები და მათი ამერიკელი მფარველები.

დილის სხდომაზე გამოვიდა 6 დელეგატი, რომლებმაც დიდი ყურადღება დაუთმეს საკითხს კომუნისტთა და სოციალისტთა ერთიანი მოქმედების შესახებ, როგორც „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ და ვიეტნამში მშვიდობისათვის, ისე მშრომელთა ეკონომიური მოთხოვნების დაცვისათვის ბრძოლაში.

ყრილობის დღის სხდომას თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს წევრი რაიმონ გიუიო. მან სიტყვა მისცა პოლიტბიუროს წევრს ეტიენ ფაჟონს, რომელმაც გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისასალმებელი წერილი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობისადმი:

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობას.

საფრანგეთის სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ — საფრანგეთის მუშათა კლასის ნაცადმა ბელადმა მშვიდობის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავისი დაუეჭრომელი ბრძოლით დამსახურებული ავტორიტეტი და ნდობა მოიპოვა ხალხის ფართო მასებში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საფრანგეთის მუშათა კლასი და პროლეტარული წარმატებით იბრძვიან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისა და დემოკრატიულ თავისუფლებათათვის, იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის იმპერიალიზმმა დაიმონოს საფრანგეთი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია სათავეში უდგას ფრანგი ხალხის ბრძოლას ევროპისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, სამხედრო დაჯგუფებათა შექმნისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. ფრანგი კომუნისტები აღაფრთოვანებენ და წინმიუძღვიან საფრანგეთის ყველა გულწრფელ პატრიოტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალ წარმატებებს უსურვებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვის, მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის ორგანიზაციისა და საფრანგეთის მთელი პატრიოტული ძალების მჭიდროდ დარაზმის, მისი რიგების განმტკიცებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით პარტიის წევრთა აღზრდის საქმეში, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას — საფრანგეთის მუშათა კლასისა და საფრანგეთის ყველა მშრომელთა მოწინავე რაზმს!

გაუმარჯოს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მჭუხარე ტაშით, საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემი შეძახილებით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები ამ წერილს. ყრილობის ყველა დელეგატი ფეხზე ამდგარი მღერის „ინტერნაციონალს“.

გამოაქვეყნა რა მისასალმებელი წერილი, ეტიენ ფაჟონმა ფრანგი კომუნისტებისა და საფრანგეთის მუშათა კლასის სახელით გაიმეორა მორის ტორეზის ცნობილი სიტყვები იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ხალხი არ იომებს, არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მთელი დარბაზი, ფეხზე ამდგარი, მჭუხარე ტაშით მიესალმა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი ფრანგი ხალხის მეგობრობის ამ გამოხატულებას.

ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არჩევა

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი დუბლინიდან იუწყება, რომ ფინე გალის პარტიის ლიდერი ჯონ კოსტელო არჩეულია ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

სპორტის ამბები

საბჭოთა კალათბურთელების გუნდის შეხვედრა იტალიელ კალათბურთელებთან

რომი, 4 ივნისი. (საკდესი). მოეწყო ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელების გუნდისა, რომელმაც მილანის საერთაშორისო შეჯიბრებაში მოიპოვა „მაირანოს თასი“, „ჯირის“ კლუბთან (ქალაქი ბოლონია), რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა იტალიის 1953-1954 წლების ჩემპიონატში.

საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 76:60.

კალათბურთელ ქალთა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე

ბელგრადი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს ბელგრადში „ტაშმაიდანის“ სტადიონზე გაიხსნა ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა ევროპის პირველობაზე. მონაწილეობას იღებენ ავსტრიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, საფრანგეთის, იტალიის, უნგრეთის, სსრ კავშირის, დასავლეთ გერმანიისა და იუგოსლავიის გუნდები.

შეჯიბრების დაწყების წინ გაიმართა კალათბურთელთა პარადი და შესრულებული იქნა ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სახელმწიფო ჰიმნები.

ჩემპიონატი გახსნა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვილიამ ჯონსმა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 5 ივნისი. სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ორი მოწინავე კოლექტივის დედაქალაქის „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შეხვედრამ. ეს შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2 : 0.

ლენინგრადი. 5 ივნისი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა მორიგი ასპარეზობა გამართა „ზენიტის“ წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

კიევი. 5 ივნისი. XVI ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი მინსკის „სპარტაკი“ თამაშობდა კიევის „დინამოსთან“. შეჯიბრების შედეგი 1 : 0 დინამოელთა სასარგებლოდ.

საქართველოს მოჭადრაკე ქალის წარმატება

ამას წინათ სარატოვში დამთავრდა საკავშირო გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში კოლმეურნეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 13 მოძმე რესპუბლიკის მოჭადრაკეთა კოლექტივები. თვითეულ გუნდში შედიოდა 4 ვაჟი და 1 ქალი.

შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა, მახარაძის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნე ბიბლიოთეკარმა ოლღა შათირიშვილმა, რომელმაც ქალთა შორის 12 შესაძლებლიდან შეგროვებული 10 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და საკავშირო მეორე თანრიგი მოიპოვა. ო. შათირიშვილი „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს 1953 წლისა და 1954 წლის ჩემპიონია ჭადრაკში.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს კოლმეურნე მოჭადრაკეებმა 33½ ქულით მეხუთე ადგილი დაიკავეს.

თბილისი



თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი ბ. სახვაძე მუშაობს ალ. ყაზბეგის ქანდაკებაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ახალი თევზი მოსახლეობას

წელს კარგად იმუშავეს თბილისის თევზის ქარხნის მეგადურეებმა. მათ ადგილობრივ ტბებსა და მდინარეებში დაიჭირეს 520 ცენტნერი ლოქო, საზანი, ხრამული, კალმახი და სხვა თევზი. ეს 50 ცენტნერით აღემატება ხუთი თვის გეგმას.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა ჯანდარის ტბის მეგადურთა ბრიგადამ, რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა თევზჭერის გეგმა.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **თბილისის ამრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ** უკრაინელ მშრომელებს მარტო სადღესასწაულოდ გაუგზავნა 15.000-მდე მეტრი აბრეშუმის ქსოვილი — ლამაზად მოხატული კრეპპარიზენი, კრეპეორეტი, კრეპდეშინი, კრეპსატინი და სხვ.

⊙ **დაიწყო ახალი მოსავლის ბალის შემოზიდვა.** თბილისბოსტანეაეურობის მაღაზიებსა მიიღეს პირველი პარტია ბალი 300 კილოგრამის რაოდენობით. მალე ბალი მასობრივად შემოვა.

⊙ **რკინიგზელთა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის** ასაშენებლად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიწის ნაკვეთი გამოჰყო ლენინის რაიონში საბჭოს ქუჩაზე.

⊙ **ავტომექანიკოსთა სპეციალური ექვსთვიანი კურსები** პირველად ეწყობა თბილისის ავტოსკოლასთან. კურსებზე მეცადინეობა იწყრმოებს 1.200-საათიანი პროგრამით წარმოებისაგან მოწყვეტით. პირველი ჯგუფი მეცადინეობას დაიწყებს ამ თვეში.

ქალაქის ქრონიკა

ტფილელ-ოკერაჩელ ექიმთა ინტერნატი

თბილისის 1-ლი საავადმყოფოს ქირურგიულ-ოროლოგიური კლინიკის (ხელმძღვანელი პროფესორი ა. წულუკიძე) მიმღებ განყოფილებაში სასწრაფო დახმარების მანქანით მოიყვანეს ავადმყოფი ნ. ზ-კი, რომელსაც გულის არეში დიდი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ავადმყოფი უგონო მდგომარეობაში იყო, გულისცემა არ ისინჯებოდა, სტენთქვა ზერელე და იშვიათი ჰქონდა.

დაჭრილს ოპერაცია გაუკეთა ახალგაზრდა ქირურგმა გიორგი იანკოვმა. მან ავადმყოფს ამოკვეთა სამი ნეკნი და ნაწილობრივ მკერდის ძვალი. აღმოჩნდა ოთხი სანტიმეტრი სიგრძის ჭრილობა პერიკარდიუმზე და ამავე ზომის გამავალი ჭრილობა მარჯვენა წინა გულის კედელში. პერიკარდიუმის ღრუში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შედედებული სისხლი. მისი ამოღების შემდეგ, როდესაც პერიკარდიუმის ღრუში ჩაქცეული და შედედებული სისხლისაგან განთავისუფლდა, გულმა მაშინვე დაიწყო პულსაცია. მფეთქავი გულის მარჯვენა წინა ნაწილს გაუკეთდა ხუთი კვანძოვანი ნაკერი, პერიკარდიუმის ღრუ ყრუდ დაიხურა, პლევრის ღრუდან დიდი რაოდენობით ამოღებულ იქნა ჩაქცეული სისხლი. ავადმყოფის სიცოცხლის გადასარჩენად მიღებულ იქნა სხვა ღონისძიებებიც.

დაჭრილი ოპერაციის დამთავრებისთანავე მოვიდა გონზე. მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. ავადმყოფი კლინიკიდან უკვე გაეწერა გაჯანსაღებული.

ქირურგი ე. ქურდიანი.

ლვოვის თეატრის გასტროლები

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში ლვოვის სახელმწიფო უკრაინული დრამატული თეატრის გასტროლების მეთერთმეტე დღეს თბილისელმა მაყურებლებმა პირველად ნახეს ახალი სპექტაკლი — სტალინური პრემიის ლაურეატის ი. გალანის პიესა „ოქროს არწივის ქვეშ“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის უკრაინის სსრ სახალხო არტისტს ბ. ტიაგნოს, მხატვრობა — სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. ბოროსოვიცს და მ. კროტკოვოის, მუსიკა — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს ა. რადჩენკოს.

ამავე დღეს თეატრი პირველად ეწვია ქალაქ რუსთავს, სადაც პარალელურ სპექტაკლად უჩვენა „შელმენკო-დენეშჩიკი“.

სპექტაკლებმა მაყურებელთა მოწონება დიმსახურა.

ძრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფელი ჭონტალი გამოეყო დუშეთის რაიონს გრემისხევის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ამავე რაიონის ბაზალეთის სასოფლო საბჭოს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 7 ივნისს

დიდი კონცერტი

მონაწილეობენ: ვ. წიგნაძე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მ. ბაუერი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მ. ნაკაშიძე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ლ. ციორგაძე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თ. თაქთაქიშვილი, ნ. მიქელაძე, მ. ავალიანი, პ. ამირანაშვილი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, დ. გამრეკელი — საქ. სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ვ. ჭაბუკიანი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ზ. კიკალეიშვილი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ს. ზაქარიაძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ზ. ანჯაფარიძე, შ. კიკნაძე.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი სტალინური პრემიის ლაურეატების — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. ჭიაურელის და რეს. დამსახურებული არტისტების გ. ხატიაშვილის, ა. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ცაგარეიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

ДЕСЛ ТБИЛИСИС ТЕАТРЕБШИ

ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის — ჩხეიძეთა ქორწილი (დილას), ბოგდან ხმელნიცკი (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ტყის სიმღერა (დილას), ტარას ბულბა (საღამოს), ლვოვის თეატრის გასტროლები), მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი საკაძე, გრიბოედოვის სახელობის — ნურას უკაცრავად (დილას), ვაი ჭკუისაგან (საღამოს), სომხური დრამის — ვაგიფი (დილა-საღამოს), მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი (დილას), ჩვენი ნაცნობები (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნაცარქექია (აბონემენტი № 31, 12 ს.).

მეუღლე რიტა, შვილი კონსტანტინე, ძმები გიორგი, კონსტანტინე ნადარეიშვილები ოჯახებით იუწყებიან დავით სერგოს-ძე ნადარეიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 6 ს. გორკის ქ. № 23.

დედა ესმა, დები ნადია, ქეთო, მარო ხელაძეები იუწყებიან **საშა გრიგოლის ასულ ხელაძე-ჩახავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 6 ს. სუნდუკიანის ქ. № 9.

მამა ჯაბა, დები ლეილა, მერი, ძმა გივი, სიძე პეტრე მარჯანიშვილი, დისწულები ელდარ, მანანა იუწყებიან **ზურაბ ჯაბას-ძე მეძმარიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 10-VI, 6 ს. გამოსვენება ჭავჭავაძის მე-4 ჩიხი № 12.

მამიდაშვილები გიორგი, პეტრე თოფურიები, ნ. ცანავა, ნ. გოგიბერიძე, ე. მიქელაძე, ვ. გინეიშვილი ოჯახებით იუწყებიან **თამარ მიხეილის ასულ გვიჩია-სოგორაშვილის** გარდაცვალებას.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **ივანე სიმონის-ძე შუბაშვილის** გარდაცვალებას.

ნადეჟდა, ვლადიმერ, იონა, თედორე, გრიგოლ, გიორგი, ნიკოლოზ გვიშიანები ოჯახებით იუწყებიან ბიძისა და ბაბუის **ბესარიონ ზაქარიას-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-VI, 4 ს. ბარნოვის ქ. № 48.

მეუღლე ტარას, შვილები ნელი, გიორგი, და ვარა დვალი, მაზლი დომენტი ჩაგელიშვილი, რძალი ქრისტინე ოჯახებით იუწყებიან **საშა ქრისტეფორეს ასულ ჩაგელიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 6 ს. თოფურიძის ქ. № 42.

საბჭოთა სამხედრო ხომალდები ალბანეთიდან სამშობლოში გამოემგზავრნენ

ტირანა, 4 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ადმირალმა გორშკოვმა კრეისერ „ადმირალ ნახიმოვზე“ დარბაზობა გამართა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის სამშობლოში გამგზავრების გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ენვერ ხოჯა, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰაჯი ლეში, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მინისტრები, სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ალბანეთში მ. ი. ხოშევი და სამხედრო ატაშეს მოვალეობის შემსრულებელი კ. ს. მარტინოვი.

დღეს დილით საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმმა ალბანეთის ნაპირები დატოვა.

საბჭოთა ხომალდების გასაცილებლად დურესის ნავსადგურში ყვავილებით, ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით მოვიდა ქალაქ დურესის ათასობით მცხოვრები.

გაცილებაზე იყვნენ სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰაჯი ლეში, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები და წევრები, მინისტრები, სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ალბანეთში მ. ი. ხოშევი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშეს მოვალეობის შემსრულებელი კ. ს. მარტინოვი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

ჩამწკრივებულ იქნა ალბანეთის სამხედრო შეზღვაურთა საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნები.

ადმირალმა გორშკოვმა მიმართა ქალაქ დურესის მშრომელებს და განაცხადა:

ბრუნდებიან რა თავის სამშობლოში, საბჭოთა კავშირის სამხედრო ხომალდების რაზმის ჰეზღვაურები გულწრფელ მადლობას გიძღვნიან თქვენ. ხოლო თქვენი სახით მთელ ალბანელ ხალხს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, პარტიის დურესის საოლქო კომიტეტს გულთბილი და გულითადი მიღებისათვის და სულით და გულით გისურვებენ საუკეთესო წარმატებებს იქენეს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

გაცილებელთა ტაშის გრიალში ადმირალმა გორშკოვმა გამარჯვება უსურვა ალბანეთისა და სსრ კავშირის ხალხების სამარადისო მეგობრობას, ალბანეთის შრომის პარტიას და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

საბჭოთა სამხედრო ხომალდების ოაზმის გაცილება გადაიქცა იმ ძმური გრძნობების მკაფიო დემონსტრაციად, რომლებიც ალბანელ და საბჭოთა ხალხებს აკავშირებენ.

ალბანეთში 4 დღის ყოფნის დროს საბჭოთა სამხედრო მეზღვაურთა დელეგაციებმა, რომლებიც ალბანეთში ჩამოვიდნენ მეგობრობის ვიზიტით, ინახულეს ქალაქები სტალინი, ლუშნია, ვლორა, შკოდერი, აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატი ტირანაში და სხვა სამრეწველო საწარმოები.

ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის არჩევა

ლონდონი, 3 ივნისი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი დუბლინიდან იუწყება, რომ ფინე გალის პარტიის ლიდერი ჯონ კოსტელო არჩეულია ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად.

სპორტის ამბები

საბჭოთა კალათბურთელების გუნდის შეხვედრა იტალიელ კალათბურთელებთან

რომი, 4 ივნისი. (საკდესი). მოეწყო ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კალათბურთელების გუნდისა, რომელმაც მილანის საერთაშორისო შეჯიბრებაში მოიპოვა „მაირანოს თასი“, „ჯირის“ კლუბთან (ქალაქი ბოლონია), რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა იტალიის 1953-1954 წლების ჩემპიონატში.

საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 76:60.

კალათბურთელ ქალთა შეჯიბრება ევროპის პირველობაზე

ბელგრადი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს ბელგრადში „ტაშმაიდანის“ სტადიონზე გაიხსნა ჩემპიონატი კალათბურთელ ქალთა ევროპის პირველობაზე. მონაწილეობას იღებენ ავსტრიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, საფრანგეთის, იტალიის, უნგრეთის, სსრ კავშირის, დასავლეთ გერმანიისა და იუგოსლავიის გუნდები.

შეჯიბრების დაწყების წინ გაიმართა კალათბურთელთა პარადი და შესრულებული იქნა ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სახელმწიფო ჰიმნები.

ჩემპიონატი გახსნა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვილიამ ჯონსმა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მოსკოვი. 5 ივნისი. სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ორი მოწინავე კოლექტივის დედაქალაქის „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შეხვედრამ. ეს შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2 : 0.

ლენინგრადი. 5 ივნისი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა მორიგი ასპარეზობა გამართა „ზენიტის“ წინააღმდეგ. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

კიევი. 5 ივნისი. XVI ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი მინსკის „სპარტაკი“ თამაშობდა კიევის „დინამოსთან“. შეჯიბრების შედეგი 1 : 0 დინამოელთა სასარგებლოდ.

საქართველოს მოჭადრაკე ქალის წარმატება

ამას წინათ სარატოვში დამთავრდა საკავშირო გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში კოლმეურნეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 13 მოძმე რესპუბლიკის მოჭადრაკეთა კოლექტივები. თვითეულ გუნდში შედიოდა 4 ვაჟი და 1 ქალი.

შეჯიბრებაში დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა, მახარაძის რაიონის სოფელ ლაშის კოლმეურნე ბიბლიოთეკარმა ოლღა შათირიშვილმა, რომელმაც ქალთა შორის 12 შესაძლებლიდან შეგროვებული 10 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და საკავშირო მეორე თანრიგი მოიპოვა. ო. შათირიშვილი „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს 1953 წლისა და 1954 წლის ჩემპიონია ჭადრაკში.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს კოლმეურნე მოჭადრაკეებმა 33½ ქულით მეხუთე ადგილი დაიკავეს.

დამთავრდა მეორე რეისი ანტარქტიკაში

...შორეული ანტარქტიკის ნაპირებისაკენ მეორე რეისში გამგზავრების ცოტა ხნის წინ ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩავედი. „სლავას“ სარდლობამ ჩემს მშობლიურ საქართველოში გამგზავნა, რომ დამემზადებინა ბამბუკის ლატნები, რომლებიც ვეშაპებზე ნადირობისას არის საჭირო. მახსოვს გრძელი, გულითადი საუბრები კოლმეურნეებთან, მებადურ აბულაძესთან, რომელიც მეხმარებოდა, მეგობრებთან და ნათესავებთან. ისინი მზად იყვნენ საათობით ეგდოთ ყური, როცა ვუყვებოდი ანტარქტიკაში მოგზაურობის, ვეშაპებზე ნადირობის ამბებს.

მე ვუამბე ჩემს თანამემამულეებს, თუ როგორი იყო ჩვენი გეგმები, ვუამბე, რომ ჩვენ პარტიასა და მთავრობას აღვუთქვით სამშობლოში ჩამოვიტანოთ ვეშაპის 27 ათასი ტონა ქონი და ბევრი სხვა ძვირფასი პროდუქტები.

ახლა მინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მოკლედ ვუამბო ჩემს თანამემამულეებს, თუ როგორ შევასრულეთ ჩვენი ვალდებულება.

რვა წლის მანძილზე „სლავას“ დაარსების დღიდან, ამ ფლოტილიას დავყვები. ყოველ წელიწადს გამარჯვებულნი ვბრუნდებით, სისტემატიურად ვასრულებთ გეგმებს. მაგრამ ისეთი წარმატებები, როგორიც 1954 წელს, „სლავას“ ჯერ არასოდეს არ ჰქონია. საყვარელმა სამშობლომ წელს 30.000 ტონამდე მაღალხარისხოვანი ქონი მიიღო.

1954 წელს ანტარქტიკაში ნადირობდა სხვადასხვა ქვეყნის სულ 17 ვეშაპთსანადირო ფლოტილია. მათ ერთად მოკლეს 31.218 ვეშაპი. მარტო ჩვენმა საბჭოთა ფლოტილიამ კი 3.092 ვეშაპი მოკლა. უცხოელები იძულებული იყვნენ ეღ